მალხაზ მაცაბერიძე •
ერიხ ობსტი 1924 წლის აჯანყებისა და საქართველოს გეოპოლიტიკის შესახებ •

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია გერმანელი გეოგრაფისა და გეოპოლიტიკოსის ერიხ ობსტის (1886-1981) ნაშრომები საქართველოს შესახებ. მან 1924 წ. შემოდგომაზე იმოგზაურა საქართველოში, ნახა რა მდგომარეობაში იყო ქვეყანა აგვისტოს აჯანყების შემდეგ და იმავე წლის დეკემბერში „გეოპოლიტიკურ ჟურნალში“ გამოაქვეყნა წერილი „საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი“. გარდა ამისა, 1925 წელს გამოსცა ნაშრომი „რუსული ესკიზები“, რომელშიც რამდენიმე თავი საქართველოს ეთმობა.

ერიხ ობსტი დასავლელი მოღვაწეა, რომელმაც სიმართლე თქვა საბჭოთა ოკუპაციის პირობებში მყოფი საქართველოს შესახებ. მისი სტატია მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციისთვის. ამას მოწმობს ისიც, რომ 40 წლის შემდეგ, 1964 წ. აღნიშნული სტატია ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა ემიგრანტულ ჟურნალ „კავკასიონში“. გარდა ამისა, ქართულ ემიგრაციაში ყურადღება მიიქცია იმ დროისათვის ახალმა დისციპლინამ გეოპოლიტიკამ. ვიქტორ ნოზაძემ (1893-1975) გეოპოლიტიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით დაწერა რამდენიმე ნაშრომი,

---

• პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

• სტატიას საფუძვლად დაედო IX საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა: ტენდენციები და გამოწვევები“ წაკითხული მოხსენება.

რომელთა შორის აღსანიშნავია სტატია „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის: ბრძოლა ნავთის გამო“ (1930 წელი).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ერიხ ობსტის 1924 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომლის 1964 წლის თარგმანი 1980-იანი წლების ბოლოდან რამდენჯერმე ხელახლა დაიბეჭდა და გამოყენებულია სამეცნიერო კვლევებში, მაგრამ ფაქტობრივად უცნობია მისი ბიოგრაფია და სხვა წერილები საქართველოს შესახებ. წარმოდგენილი სტატია სწორედ ამ ხარვეზის დაძლევას ისახავს მიზნად. პირველ რიგში განხილულია 1925 წელს გამოქვეყნებულ წიგნში საქართველოსადმი მიძღვნილი თავები, ასევე ნაჩვენებია ე. ობსტის ნაშრომის მნიშვნელობა ქართული გეოპოლიტიკური სკოლის ჩამოყალიბების საქმეში.

კვლევის უმთავრესი მეთოდია კონტენტ-ანალიზი. სტატიაში მოცემულია ერიხ ობსტის ნაშრომების შინაარსობრივი ანალიზი, ასევე გამოყენებულია ბიოგრაფიული ანალიზის მეთოდი.

სტატიაში წარმოდგენილია ერიხ ობსტის სამეცნიერო საქმიანობა. ის გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ნაციზმის სამსახურში არ ჩამდგარა. მისი ნაშრომების განხილვამ აჩვენა, რომ თავის ხანგრძლივი სამეცნიერო საქმიანობის განმავლობაში 1924-1925 წლების შემდეგ საქართველოს თემას ფაქტობრივად აღარ დაბრუნებია. ამ პერიოდში გამოქვეყნებული ორი ნაშრომით კი მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ოკუპაციის პირობებში მცხოვრები საართველოს შესახებ სიმართლის თქმის საქმეში. სტატიაში წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა და მიღებული დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნას საბჭოთა საქართველოს ისტორიის, კონკრეტულად კი 1924 წლის აჯანყების შემდგომი პერიოდის კვლევის დროს, ასევე 1920-1930-იან წლებში ქართული გეოპოლიტიკური სკოლის ჩამოყალიბების შესწავლისას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, 1924 წლის აჯანყება, ერიხ ობსტი, გეოპოლიტიკა.

ერიხ ობსტი და საქართველო

გერმანელმა გეოგრაფისა და გეოპოლიტიკოსის ერიხ ობსტის (1886-1981) ნაშრომებს თუ გადავხედავთ, მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროში საქართველო მხოლოდ ერთხელ მოექცა - 1924 წლის შემოდგომაზე მან იმოგზაურა საქართველოში, ნახა რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყანა აჯანყების დამარცხების შემდეგ. მასზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა აქ არსებულმა ვითარებამ და იმავე წლის დეკემბერში „გეოპოლიტიკურ ჟურნალში“ გამოაქვეყნა წერილი „საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი“. აღსანიშნავია, რომ „გეოპოლიტიკური ჟურნალი“ სწორედ 1924 წელს დაფუძნდა და პირველი პერიოდული ორგანო იყო, რომელიც მიზნად ისახავდა გეოპოლიტიკის განვითარებას და პროპაგანდას.

ერიხ ობსტი თავის სტატიაში ეხება 1924 წლის აჯანყებას და იმ ვითარებას, რაც საქართველოში აჯანყების შემდეგ არსებობდა, ახასიათებს კავკასიის ხალხების დამოკიდებულებას რელიგიისადმი, ქართველთა მიერ თავიანთი საცხოვრებელი სივრცის აღქმას, საქართველოს გეოპოლიტიკურ სახეს, ქართველების გაუცხოებას რუსებისაგან და ევროპისაკენ სწრაფვას, თბილისის გეოპოლიტიკურ როლს, ამასთან ერთად მოკლედ გადმოსცემს საქართველოს ისტორიის ძირითად საკითხებს (ობსტი, 1964, გვ.5-11).

სტატიაში ობსტი შეეცადა წარმოეჩინა 1924 წლის აჯანყების მიზეზები და მამოძრავებელი ძალები. ამისათვის კი აუცილებლად მიაჩნდა საქართველოს გეოპოლიტიკაში გარკვევა. „ამ საკითხის დასმა ნიშნავს, ამ საოცარი ქვეყნის გეოპოლიტიკური აღნაგობა გამოიკვლიოთ“, - აღნიშნავდა ობსტი.

გარდა ამისა, ერიხ ობსტმა 1925 წელს გამოსცა ნაშრომი „რუსული ესკიზები“, სადაც რამდენიმე თავი საქართველოს ეთმობა. კერძოდ, ამ ნაშრომში საქართველოს ეთმობა ხუთი თავი შემდეგი თანმიმდევრობით: „თბილისი - საქართველოს დედაქალაქი“, „საქართველო: გეოპოლიტიკური ნარკვევი“, „ჭიათურა - მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი მანგანუმის საბადო“, „ტური პონტოს საქართველოს გავლით“, „გამომშვიდობება თბილისთან. ვლადიკავკაზისკენ კავკასიონის გავლით“.

ერიხ ობსტი ცნობილი გერმანელი გეოპოლიტიკოსია, რომელმაც 1920-1930-იან წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის ფორმირებაში. ობსტი იყო „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. ჟურნალის სარედაქციო საბჭოში მისმა რედაქტორმა კარლ ჰაუსჰოფერმა პირადად მიიწვია ერიხ ობსტი, რომელიც მაშინ ჰანოვერის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრის გამგე იყო. თუმცა, შემდგომში მათი გზები გაიყარა.

„გეოპოლიტიკური ჟურნალის“ სარედაქციო საბჭოდან გ. ლაუტენზახი, ე. ობსტი და ო. მაული, მთლიანობაში, დემოკრატიულ თვალსაზრისზე იდგნენ. ამიტომ მათ აღიზიანებდათ ჟურნალის გამომცემლის კ. ვოვინკელის ნაცისტებისადმი სიმპატიები. ეს უკანასკნელი კი, რაც უფრო იზრდებოდა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პოპულარობა, სულ უფრო ნაკლებად მალავდა თავის მხარდაჭერას ნაცისტების მიმართ. 1931 წლის ოქტომბერში ვოვინკელმა გადაწყვიტა ობსტისა და მაულის გათავისუფლება სარედაქციო საბჭოდან და კარლ ჰაუსჰოფერს შესთავაზა ერთპიროვნულად გაეგრძელებინა ჟურნალის რედაქტორობა. ვოვინკელის უმთავრესი პრეტენზია ის იყო, რომ „გეოპოლიტიკური ჟურნალი“ ახლოს არ იდგა ნაცისტურ მოძრაობასთან. ე. ობსტი და ო. მაული არა-

ვითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდნენ გეოპოლიტიკის გადაქ-ცევას ნაციზმის ოფიციალურ იდეოლოგიად. ჰაუსჰოფერმა ჟურნა-ლის რედაქციაში დარჩენა არჩია და არ გაუპროტესტებია ვოვინ-კელის აღნიშნული ნაბიჯი.

ერიხ ობსტი და ქართული ემიგრაცია

ერიხ ობსტის მიერ დაწერილი გეოპოლიტიკური ნარკვევი საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იყო ქართული ემიგრაციისთვის, რომელიც ბოლშევიკური პროპაგანდის საპირის-პიროდ ცდილობდა სიმართლის თქმას 1924 წლის აჯანყებაზე. სოციალისტ-ფედერალისტთა ემიგრანტული გამოცემა „სახალხო საქმე“ 1927 წელს ერიხ ობსტის ნაშრომის შესახებ იუწყებოდა: „გერმანელმა პროფ. ბ-ნ ობსტმა თავის სამეცნიერო ჯგუფთან ერთად ოთხ თვეზე მეტი იმოგზაურა საბჭოთა რუსეთში მისი გაცნობის მიზნით“, საქართველოში ობსტი იმ დროს ჩამოვიდა, როდესაც აჯანყება ახალი ჩაქრობილი იყო, როდესაც ქართველმა ერმა 1921 წელს წაგებული ომის შემდეგ, სამნახევარი წელი შეისვენა და ისევ მოჰკიდა ხელი იარაღს დამოუკიდებლობის აღსადგენათ, როდესაც უსწორო ბრძოლაში დამარცხებულმა ერმა იარაღი დროებით გვერდზე გადადო. ბ-ნ ობსტმა დასწერა გეოპოლიტიკურ პერიოდულ გამოცემაში ნაშრომი, სათაურით - „საქართველო“, შემდეგ ის მოათავსა ე. წ. „Russische Skizzen”-ში, რომელიც წიგნად გამოვიდა და მთლიანად იმ სამოგზაურო წე-რილებს შეიცავს, რომელნიც თავის დროზე სხვა და სხვა გერმანულ გაზეთებში მოთავსებული იყო“ (ს.-ძე, 1927, გვ.29).

ობსტის ნაშრომის შესახებ სტატიაში აღნიშნულია: „წიგნი გერმანული მზრუნველობით და ბეჯითობით გამოცემულია, თან მრავალი სურათი ახლავს საქართველოდან. სამოგზაურო შთაბეჭ-

დილებანი, მეცნიერული და ეკონომიკური ხასიათის დაკვირვებით“ (ს.-ძე, 1927, გვ.29).

„სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში დაწვრილებით არის გადმოცემული ობსტის ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია 1924 წლის აჯანყების შესახებ (ს.-ძე, 1927, გვ.28-31).

ქართული ემიგრაციისათვის ერიხ ობსტის სტატიის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი გამოქვეყნებიდან 40 წლის შემდეგ, ობსტის აღნიშნული სტატია სრულად ითარგმნა ქართულად და გამოქვეყნდა ჟურნალ „კავკასიონში“ (ობსტი, 1964). პუბლიკაციას ახლავს მთარგმნელის შენიშვნა: „პროფ. დრ. ერიხ ობსტის წერილი, თუმცა ალაგ-ალაგ ხორკლიანია და ისტორიულ გაშალაშინებას მოითხოვს, მაინც იგი დიდი სიტყვა იყო 1924 წლის აჯანყების მეორე დღეს ევროპაში ნათქვამი, სადაც პრესსაში იმ დროს კამათი იყო გამართული ამ აჯანყების შესახებ. პროფ. დრ. ერიხ ობსტ სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ 1924 წლის აჯანყება იყო ეროვნული და ეროვნული განთავისუფლებისათვის მომხდარი“.

ობსტის სტატია ფაქტობრივად პირველია, რომელშიც იმ დროისათვის ახალი დისციპლინის, გეოპოლიტიკის თვალთახედვით გაანალიზებულია საქართველოს მდგომარეობა და ჩამოყალიბებულია საქართველოს გეოპოლიტიკის ძირითადი დებულებები, როგორც ეს გერმანელმა გეოპოლიტიკოსმა დაინახა.

ქართულ ემიგრაციაში ამ ახალმა დისციპლინამაც მიიქცია ყურადღება, რომლის მეშვეობითაც ერიხ ობსტი საქართველოს შესახებ სიმართლეს წერდა. ამ მხრივ უნდა დავასახელოთ ვიქტორ ნოზაძე (1893-1975), რომელიც სწორედ გეოპოლიტიკის მეშვეობით ცდილობდა საქართველოსა და კავკასიაში განვითარებული მოვლენების გააზრებას. აღსანიშნავია ჟურნალ „დამოუკიდებელ საქარ-

თველოში“ 1930 წელს მის მიერ გამოქვეყნებული ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაშრომი: „ევროპა და კავკასია (ბრძოლა ნავთობისათვის)“, რომელშიც განხილულია კავკასიის ნავთობისათვის მიმდინარე ბრძოლა პირველი მსოფლიო ომის წლებში და 1919 წელს, ხოლო მეორე სტატიაში „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის“ ნავთობისათვის ბრძოლის საკითხის განხილვას იწყებს 1920 წლის აპრილში საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ.

საქართველო - ქართველთა საცხოვრებელი სივრცე

ერიხ ობსტის დახასიათებით „საქართველოს საცხოვრებელი სივრცე არასოდეს ყოფილა და არც დღეს არის ერთი მთლიანი და ერთიანი“ და ჩამოთვლის მის შემადგენელ ნაწილებს: „მთიანი ადგილი ზემო მტკვრისა (ქართლი); მთიანი კახეთი ალაზნის ველითურთ და მის პარალელურ იორის ხეობასთან ერთად; კავკასიის შიგანი ნაწილი რიონის მხარისა მთავარი ქალაქით ქუთაისი (იმერეთი); და ბოლოს შავი ზღვის სანაპირო - აბხაზეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, რომელსაც მონღოლების შემოსევამდე ლაზისტანიც ეკუთვნოდა“.

ობსტის აზრით „ქართული საცხოვრებელი სივრცის ტოპოგრაფიულ-კლიმატური სხვადასხვაობა იმით მცირდებოდა, რომ მთელი საქართველო ერთ განსაკუთრებულ და მყარ გეოპოლიტიკურ ძალთა ველზე იმყოფებოდა“.

ობსტი აღნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასიის სამ მთავარ ხალხს ისტორიულად მკაფიოდ გამოკვეთილი საცხოვრებელი სივრცე ჰქონდა, მაგრამ ისტორიულ განვითარებას ერთა გარკვეული შერევა მოჰყვა. „თავდაპირველად ეს სამი მთავარი ხალხი - ქართველები, სომხები და თურქო-თათრები - ცხოვრობდნენ განცალკევებულად;

თვითეულის ცალკეული საცხოვრებელი სივრცე, როგორც მთლიანობა, დიახაც ინდივიდუალური იყო და თვითეული მეზობელი ბუნებრივად საზღვრებ შემოვლებული იყო. მაგრამ ისტორიულმა განვითარებამ ყოველ შემთხვევაში ის მოიტანა, რომ ნაწილნი ერთი ერისა მეორე ერის საცხოვრებელ სივრცეში შეიჭრენ და იქ დასახლდნენ“, - წერს ობსტი.

ობსტის დახასიათებით, მიუხედავად მეზობელ ხალხთა განსახლებისა ქართველთა საცხოვრებელ სივრცის ნაწილში, ქართველები მას მაინც თავიანთ საცხოვრებელ სივრცედ მიიჩნევენ. „აიხედავს სომხეთის მთებისაკენ, თუ გაიხედავს აზერბაიჯანის სტეპური მინდვრებისაკენ, ქართველი მას სთვლის მკაცრად მოსაზღვრულ საცხოვრებელ ადგილად, რაც მეზობელთა მიერ სავსებით გადასხვაფერებულა“, - აღნიშნავს ობსტი.

საქართველო როგორც გეოპოლიტიკურ ძალთა ველი

ერიხ ობსტი აღნიშნავს, რომ საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ოთხი მხრიდან უტევდნენ დამპყრობლები, რომლებიც ცდილობდნენ „კავკასია თავისთვის დაენარჩუნებინათ“. მისი დახასიათებით, ეს იყო საქართველოს „ტიპიური გეოპოლიტიკური სახე“. ერიხ ობსტი მოკლედ აღწერს თუ როგორ იბრძოდა საქართველო საუკუნეების მანძილზე დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ეს აღწერა სტატიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ის რაიმე სიახლეს არ შეიცავს ქართველი მკითხველისათვის, პირიქით, უზუსტობებსაც იპოვნის, მაგრამ ამ ფაქტების გააზრება მნიშვნელოვანი იყო თავად ერიხ ობსტისთვის და ევროპელი მკითხველისთვის, ვისთვისაც განკუთვნილი იყო სტატია.

„საქართველოს ყოველთვის უნდა დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა მრავალთა საუკუნეთა გასწვრივ. მტრები ერთი მეორეს

სცვლიდნენ და მათთან ერთად იცვლებოდნენ ხოლმე ძალთა დამოკიდებულების ურთიერთობანიც. ხშირად ქვეყანა საუკუნოვან დამონებასაც ვერ ასცდებოდა ხოლმე. მაგრამ ყოველთვის მოულოდნელად ავარდებოდა ხანძარი წმიდა ეროვნული აღტყინებისა, რომლითაც აღფრთოვანდებოდა თანაბარი ვნებიანობით აღგზნებული მთელი ხალხი. მდაბიო გლეხიდან დაწყებული დიდ მემამულემდე და თავადამდე: მონობას სიკვდილი სჯობიაო!", - აღნიშნავდა ობსტი.

თბილისის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსთვის

ერიხ ობსტის დახასიათებით „ქვეყანას აწვებოდნენ კონცენტრული ძალები და საქართველოს შეეძლო მათთვის გაეძლო მხოლოდ იმით, რომ მან გამონახა თავდამცველი ადგილი, საიდანაც მას შეეძლო საჭიროების ჟამს თითოეული ამ ოთხი მიმართულებით მოწოლილი მტრისათვის როგორმე თანაბრად შეეტია". ასეთი ადგილი იყო თბილისი.[1]

თბილისს როგორც საქართველოს გეოპოლიტიკურ ცენტრს ნაკლიც ჰქონდა - სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ის ძალზედ ახლოს მდებარეობდა იმ საზღვრებთან, რომლებიც საქართველომ ძნელბედობის შედეგად შეინარჩუნა. „ეს ქალაქი ... ძევს მთლიანობის ფარგლებში ექსცენტრიულად, რაც საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურისათვის მძიმე ნაკლს ნიშნავდა", - აღნიშნავდა ობსტი.

თბილისის როგორც გეოპოლიტიკური ცენტრის ნაკლს ისიც წარმოადგენდა, რომ აქედან ძნელი იყო საქართველოს დასავლეთი

[1] ერიხ ობსტ ამ საკითხზე სხვა წერილიც აქვს გამოქვეყნებული, სადაც თბილისის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზეა საუბარი. მოცემულ ნარკვევში კი მოკლედ შენიშნავდა: „როგორც სხვა წერილში გაჩვენეთ, არჩევანი თბილისზე უნდა შეჩერებულიყო".

ნაწილის დაცვა. „ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთის მიმართ თბილისი იყო მოცემული ბაზისი, მაგრამ დასავლეთის დაცვა თბილისიდან მხოლოდ ძნელად მოსახერხებელი იყო: ამისი შედეგი იყო ხშირი ჩამოტეხა ქვეყნის დასავლეთის ნაწილისა“, - წერდა ამის თაობაზე ობსტი.

საგარეო ორიენტაციის საკითხი საქართველოსთვის

ობსტი აღნიშნავს, რომ მე-18 საუკუნეში ავსტრიასა და პრუსიას სთხოვეს დახმარება სპარსთა და თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ უშედეგოდ. „ყველაფერი მეგობრული სიტყვით გათავდა; მაშინდელი ევროპისათვის საქართველო ჯერ კიდევ ძალიან შორს იმყოფებოდა”, - წერს ობსტი.

ამავე დროს კი „ველიკორუსულმა ექსპანსიამ კავკასიას მიაღწია“. 1774 წელს რუსეთმა ოსეთი შეიერთა და „ამით რუსები საქართველოს კართან დადგნენ“. ობსტის თქმით, 1783 წელს ქართლ-კახეთის მეფე იძულებული იყო რუსეთის ვასალი გამხდარიყო და ეს იყო „მხოლოდ უკიდურესი საშუალება“. ამით ქართველებს სურდათ „აღმოსავლეთ-ქართული სახელმწიფო ... შეენარჩუნებინათ, რათა შესაფერ დროს ჯაჭვები დაემსხვრიათ და კვლავ თავისუფალი გამხდარიყვნენ“.

ობსტი აღნიშნავს, რომ 1795 წელს რუსები შეგნებულად არ დაეხმარნენ ქართველებს სპარსელებთან ბრძოლაში. „რამდენადაც ცუდად წავაო ქართველების საქმე, - ასე ანგარიშობდნენ პეტერბურგში, - იმდენად ისინი იძულებული გახდებიან რუსეთთან დამოკიდებულება უფრო მჭიდროდ დაიკავონო“, - წერს ობსტი. შემდეგ კი მოკლედ გადმოსცემს, თუ როგორ დაიპყრო რუსეთმა საქართველო.

ობსტის დახასიათებით, „ქართველი ველიკოროსების პირისპირ სრულებით უცხო არის, თუ არ ვიტყვით, რომ იგი მათ მიმართ

მტერი არის“. როგორც ცარიზმის, ისე ბოლშევიკური რეჟიმი ქართველებისთვის მიუღებელია, ისევე როგორც ბუნებრივია ევროპული ორიენტაცია. „ამგვარი სისტემა გულწრფელი, თვითშეგნებული და რაინდული კაცისათვის - ქართველისათვის - პირდაპირ საზიზღარია; წინააღმდეგ, მისთვის დიდი ზომით, ევროპა არის მიმზიდველი. ევროპიული სახელმწიფოები ქართველს სწორედ კარგად ესმის, რადგან აგრეთვე ევროპაში თითოეული ერი, ცოტად თუ ბევრად ბუნებრივ საზღვრებით შემოფარგლულ საცხოვრებელ სივრცეში მოქმედებს და მუშაობს. ევროპიულ ხალხებს ქართველი სულიერ ნათესავად გრძნობს, ვინაიდან ამ ხალხებმა გადასდგეს ბედის გადამწყვეტი ნაბიჯი. როდესაც მისტიურ-რელიგიური კოლექტივიზმიდან ეროვნულ-ინტელექტუალურ ინდივიდუალიზმში შევიდნენ, გარკვეული ადამიანური გრძნობებიდან მტკიცე ეროვნულ შეგნებაზე გადავიდნენ. აბსოლუტური ერთმმართველობის ნაცვლად ლიბერალური წესის სახელმწიფო დაამყარეს“, - აღნიშნავს ობსტი.

რელიგია როგორც გეოპოლიტიკური ფაქტორი

ერიხ ობსტი განიხილავს რელიგიის როლს სამხრეთ კავკასიის ხალხებისათვის. მისი დახასიათებით, „მაჰმადიანისათვის ისლამი არის სანაცვლო იმისა, რაც არა-მაჰმადიანისათვის ეროვნულ გრძნობას ნიშნავს“ და ამ აზრით, „თამამად შეიძლება აზერბაიჯანის თურქ-თათართა მტკიცედ გამოსახულ ეროვნულ გრძნობაზე ლაპარაკი“.

სომეხთა რელიგიურობაც უდავოდ ეროვნულ სახეს ატარებს. ობსტის თქმით, სომხურ-გრიგორიანული ეკლესია „ნაციონალიზმის სიმბოლოდ არის გადაქცეული“.

ობსტის აზრით, ასე არ არის ქართველების შემთხვევაში და მათთვის „რელიგიას გადაწყვეტით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება“. ამის მიზეზად მიაჩნია ის, რომ „საქართველოში ეკლესიას ასი წელიწადია საკუთარი დამოუკიდებლობა აღარ ჰქონია და მისი მთავარი (რუსეთის) მეფის მიერ იყო ხოლმე დანიშნული და იგი ხშირად გარუსების პოლიტიკის დასაყრდენს წარმოადგენდა“. შედეგად „ეკლესია ქართველისათვის უცხო გახდა“.

ამავე დროს კომუნისტების ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ და ანტირელიგიური პროპაგანდა „დიდ გამწარებას იწვევს საქართველოში, თვით ნაკლებად რელიგიურ პირთა გულშიც“.

ობსტი ეხება იმ მძიმე შედეგებსაც, რაც საქართველოს ისლამიზაციამ მოუტანა. „შემოჭრა ისლამისა შეიძლება უფრო უარესი იყო ვიდრე თავისთავად უცხო ბატონობა, რადგან მთელს აღმოსავლეთში, და ასე აღსრულდა ეს დასავლეთ საქართველოშიც, რელიგია უმტკიცესად მოქმედობს, ვიდრე სისხლით ნათესავობა, ვიდრე სახელმწიფო ქვითკირი. გაისლამებული ლაზები და აჭარლები, თუმცა სისხლით და ენით წმინდა ქართველები არიან, ნელ-ნელა დაიკარგნენ ქართული სახელმწიფოსათვის“, - წერდა ობსტი. მისი თქმით, ქართველმა მუსლიმებმა „თავისი ბედი ... სავსებით დაუკავშირეს თურქებისას და ყოველი შემთხვევითაც სარგებლობდნენ, რათა თავისი ხალხის ძველ თანაწევრთათვის დაბრკოლებები შეექმნათ - ცდილობდნენ, სადაც შესაძლებელი იყო, თურქულ სახელმწიფოში მოქცეულიყვნენ. ლაზებმა ამ მიზანს უკვე მიაღწიეს; აჭარლებს უახლოეს დროში უნდა მინიჭებოდათ ფართო ავტონომია, რათა ისინი დედა-ქვეყანას შერჩენოდნენ“.

1924 წლის აჯანყების შეფასება

ერიხ ობსტი დაწვრილებით ჩერდება 1924 წლის აჯანყების დახასიათებაზე, რადგანაც იმ დროისათვის (1924 წლის ბოლოს) მრავალი ტყუილ-მართალი ვრცელდებოდა აჯანყების თაობაზე. ბოლშევიკები ირწმუნებოდნენ, რომ ეს იყო „ცდა, სასოწარკვეთილი ბრძოლა ქართველ თავადაზნაურთა კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც მათი დიდი მამულები გაანაწილა და გლეხებს გადასცა“. ქართული ემიგრანტული წრეები კი შეეცადნენ „საქართველოს აჯანყება მთლიან კავკასიურ რევოლუციად გაესაღებინათ“.

ობსტი, რომელიც აჯანყების შემდეგ საქართველოში იმყოფებოდა, კარგად გაეცნო სიტუაციას და აღნიშნავდა, რომ ეს იყო ქართული, ეროვნული აჯანყება. არათუ სომხეთსა და აზერბაიჯანში არანაირი გამოსვლები არ ყოფილა, არამედ „სომხები თბილისში, ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, სრულიადაც არ ფიქრობდნენ, აჯანყებულებს შეერთებოდნენ და შფოთის ცეცხლი ქვეყნის მთავარ ქალაქში აეგიზგიზებინათ“.

ობსტი აღნიშნავს, რომ 1924 წლის აჯანყება იყო ეროვნული მოძრაობა და როგორც ასეთი, „არა მარტო საბჭოთა სისტემის, არამედ სწორედ რომ მოსკოვური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული“. 1924 წლის აჯანყება არ ყოფილა თავადაზნაურობის ან სამღვდელოების მიერ ორგანიზებული გამოსვლა, როგორც ამას წარმოადგენდნენ ბოლშევიკები. „ქართველმა ინტელიგენციამ 1924 წლის ზაფხულში, გლეხებთან და მუშებთან ერთად იარაღს ხელი სტაცა - ჩაიდინეს ეს მათ სამშობლოს მიმართ წმიდა და თავდადებული სიყვარულის გამო. მათ მიმართეს ამ უკიდურესობას იმ შეგნებით, რომ სხვაგვარად, მთელი ქართველი ხალხის მიერ მღვივედ ნანატრი ეროვნული დამოუკიდებლობა მიუღწეველი არისო“, - წერს ობსტი.

ობსტი აღნიშნავს, რომ საქართველო არ დაივიწყებს 1924 წლის აჯანყების დროს დაღუპულ თავის გმირებს, რომელთაც ბოლშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ. მისი თქმით, „ქართველი ხალხის ძალიან დიდი უმრავლესობისათვის ეროვნული შეგნება, მისწრაფება სრული დამოუკიდებლობისაკენ დაუსრულებლივ უფრო მტკიცე არის“ და გამოთქვამდა ვარაუდს, რომ მომავალში საქართველოში კვლავ შეიძლება მოხდეს აჯანყება. „ქართველი ხალხის ამ გაუტეხელმა ნებისყოფამ, რათა მან კვლავ იხილოს ხანა დავით მეოთხისა და თამარისა, გამოიყვანა რევოლუციონერები 1924 წელს საბრძოლველად. უეჭველია, ეს არ იქნება უკანასკნელი“, - წერს სტატიის ბოლოს ობსტი.

აღსანიშნავია, რომ სტატიის ქართულად მთარგმნელი ემიჯნება აჯანყების იდეას და თვლის, რომ აჯანყება „არც დღეს და არც მომავალში ... გამოსადეგი არაა და კიდევ მეტი: - საზიანოც, დამღუპველი“. მთარგმნელის თქმით, საქართველო რუსეთის ბატონობისგან უეჭველად განთავისუფლდება, ოღონდ არა აჯანყების გზით. „საქართველო, ეჭვი არ გვაქვს, რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლდება, მაგრამ არა აჯანყებით, არამედ თვით საბჭოთა კავშირში შექმნილ და საერთაშორისო ვითარებათა შედეგად, და თვითონ ქართველი ხალხის თანამონაწილეობითაც“,- აღნიშნავდა ობსტის სტატიის ქართულად მთარგმნელი 1924 წელს.

ერიხ ობსტი და ქართული გეოპოლიტიკური სკოლის ფორმირება

როგორც უკვე ითქვა, გეოპოლიტიკამ, იმ დროისათვის ახალმა დისციპლინამ, ქართული ემიგრაციის დაინტერესება გამოიწვია. ამ მხრივ აღსანიშნავია ვიქტორ ნოზაძის პუბლიკაციები. ის, რასაკვირველია, იცნობდა ობსტის ნაშრომებს, მაგრამ ვიქტორ

ნოზაძისთვის ობსტის და სხვა გეოპოლიტიკოსთა ნაშრომები მხოლოდ თეორიული საფუძველი იყო გეოპოლიტიკურ კონტექსტში საქართველოსა და კავკასიის საკითხების განსახილველად. ისიც უნდა ითქვას, რომ ვიქტორ ნოზაძე ეყრდნობოდა იმ ხედვებს, რაც იმდროინდელ ქართულ გეოპოლიტიკურ აზროვნებაში არსებობდა. ამ მხრივ ნიშანდობრივია, რომ თავის სტატიას ვიქტორ ნოზაძემ წარუმძღვანა ილია ჭავჭავაძის მიერ 1879 წელს დაწერილი სიტყვები კავკასიის, როგორც იმპერიების მეტოქეობის არეალის შესახებ (ჭავჭავაძე ილია, 1955, გვ.18).

ერიხ ობსტისა და ვიქტორ ნოზაძის გეოპოლიტიკური ანალიზი არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ისინი სხვადასხვა გეოპოლიტიკურ საკითხებს ეხებიან.

ერიხ ობსტის ნაშრომები საქართველოს გეოპოლიტიკის შესახებ შეიძლება გამოყენებული იქნას საბჭოთა საქართველოს ისტორიის, კონკრეტულად კი 1924 წლის აჯანყების შემდგომი პერიოდის კვლევის დროს, ასევე 1920-1930-იან წლებში ქართული გეოპოლიტიკური სკოლის ჩამოყალიბების შესწავლისას.

დანართი

პროფ. ობსტი საქართველოს აჯანყების შესახებ

ქართველი ერის აგვისტოს უკანასკნელი აჯანყება ისეთი ძალის ფაქტია, რომ მისი გვერდის ახვევა შეუძლებელია, როდესაც კითხვა საერთოთ საბჭოთა რუსეთს და კერძოთ მის ნაციონალურ პოლიტიკას ეხება. 24 წ. აგვისტოში, განაგრძო ქართველმა ერმა 21 წელს დაწყებული ეროვნული ომი, - აგვისტოს კიდევ ერთხელ აღშფოთთა სამი წლის დამოუკიდებელი არსებობით გაფაქიზებული ეროვნული სული, აგვისტოს მოხდა ის, რასაც ყოველთვის, სადაც არ უნდა იყოს, ევროპის კომუნისტურ პარტიებს, მოწინააღმდეგენი

პირში აჩრიან და ეროვნულ ჩაგვრაზე, უთანასწორობაზე, იმპერიალიზმზე ყბედობის მადას უკარგავენ. აგვისტოს, კიდევ ერთხელ აწამა რუსეთმა ქართველი ერი. ამ წამებას მთელი ევროპის პრესა გამოეხმაურა, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე პრესაც, ამ წამებამ მიიპყრო მთელი ევროპის ყურადღება.

გერმანელმა პროფ. ბ-ნ ობსტმა თავის სამეცნიერო ჯგუფთან ერთად ოთხ თვეზე მეტი იმოგზაურა საბჭოთა რუსეთში მისი გაცნობის მიზნით. სამეცნიერო მიზნით შემოიარა ევროპიული რუსეთი, იყო უკრაინაში, ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში კი იმ დროს, როდესაც აჯანყება ახალი ჩაქრობილი იყო, როდესაც ქართველმა ერმა 1921 წელს წაგებული ომის შემდეგ, სამნახევარი წელი შეისვენა და ისევ მოჰკიდა ხელი იარაღს დამოუკიდებლობის აღსადგენათ, როდესაც უსწორო ბრძოლაში დამარცხებულმა ერმა იარაღი დროებით გვერდზე გადადო. ბ-ნ ობსტმა დასწერა გეოპოლიტიკურ პერიოდულ გამოცემაში ნაშრომი, სათაურით - „საქართველო“, შემდეგ ის მოათავსა ე. წ. „Russische Skizzen”-ში, რომელიც წიგნად გამოვიდა და მთლიანად იმ სამოგზაურო წერილებს შეიცავს, რომელნიც თავის დროზე სხვა და სხვა გერმანულ გაზეთებში მოთავსებული იყო.

წიგნი გერმანული მზრუნველობით და ბეჯითობით გამოცემულია, თან მრავალი სურათი ახლავს საქართველოდან, სამოგზაურო შთაბეჭდილებანი, მეცნიერული და ეკონომიური ხასიათის დაკვირვებით. მე აზრათ მაქვს, ნაშრომის მხოლოთ იმ ნაწილს შეეხო, სადაც ბ-ნი ობსტი აჯანყების ხასიათზე ლაპარაკობს:

„ჩვენი იქ ყოფნის დროს“-ო - სწერს ბ-ნი ობსტი - „მეფობდა ტფილისში, განსაკუთრებით ქართულ ნაწილში, ღრმა მწუხარება. ძალიან ბევრი ქალი დაიარება ძაძებ-მოსილი, მათი გამომეტყველება ააშკარავებდა მათ მძიმე, მძიმე მწუხარებას. მამაკაცებში თითქოს წესად ქცეულიყო შავი ყელსახვევი, თუმცა ამ გლოვის

ნიშანს ყველა სიფრთხილით ატარებდა, თითქოს ეშინოდათ ამით საეჭვონი არ გამხდარიყვნენ. თითქმის არც ერთი ქართული ოჯახი არ არის, რომ ერთი წევრი ოჯახის მაინც სამგლოვიაროდ არ ყავდეს. გაუგონარი სიმხეცით ჩააღრჩვეს საქართველოს აჯანყება. ოფიციალური კომუნისტური სტატისტიკა თუმცა იძლევა ცნობას, რომ მხოლოდ რამდენიმე ასი კაცი საველე გასამართლებით დაიხვრიტაო, მაგრამ ვის აინტერესებს ეს რიცხვი? ნამდვილი მსხვერპლი ჟინისმყრელი წითელ ჯარის ათასებს ითვლიან, უგანაჩენოთაც დახვრიტეს, დახვრიტეს ისეთებიც, რომელთაც აჯანყებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ“.

„ეჭვს გარეშეა“ ამბობს ბ-ნი ობსტი: „ყველა იმის შემდეგ, რაც ჩვენ საქართველოში ვნახეთ და გავიგონეთ, 1924 წლის ზაფხულის აჯანყება, ნაციონალური მოძრაობა იყო და ის როგორც ასეთი, არა მხოლოდ საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ მოსკოვის რუსეთის წინააღმდეგ. სხვადასხვა მხრიდან ცდილობენ საქმის ნამდვილი ვითარების მიჩქმალვას, მაგრამ ძნელი არ არის ამ ტენდენციური ცნობებისგან თავის დაღწევა. ქართველ სასულიერო წოდებას როგორც ასეთს მაგალითად, არაფერი საერთო არ ქონდა აჯანყებასთან.

„არას გზით არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს 1924 წლის აჯანყება იყო მსგავსი ამბოხებისა უმუშევართა და ქალაქის პროლეტარიატისა. რასაკვირველია შემცდარია ის მითქმა-მოთქმაც, რომელიც მოსკოვიდან გავრცელდა, თითქოს ეს აჯანყება აგრარული რევოლიუციის ხასიათის იყო. თითქოს ეს ქართველ თავადთა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც მათი მიწა გლეხებს დაურიგა და მიაკუთვნა. რადგან მრავალი რიცხვი თავადებისა წითელ ჯარმა ბასტილიურათ ამოხოცა, თუმცა აჯანყების დროს ისინი უმოქმედოთ თავიანთ სახ-

ლში ისხდნენ, შეიძლება ეს მოსკოვის ჭორი ამ ამოხოცვის სინამ-დვილის გაბიაბრუებისათვის არის შეთხზული.

არავის არ შეუძლია, სერიოზულათ გამოედავოს იმ ფაქტს, რომ ნაციონალურათ აღფრთოვანებულ ინტელიგენციასთან და უწინარეს ყოვლისა საქართველოს აკადემიურ ახალგაზრდობასთან ერთად, ურიცხვმა გლეხმა და მუშამ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო. რა აზრი ქონდა მაგალითად ჭიათურის მაღაროს მუშათა მიერ მოსკოვის წინააღმდეგ იარაღის აღმართვას, მათ მიერ საბჭოს მოხელეთა დატყვევებას და სხვა?

ნუ თუ მართლა უნდა ვისმე იმის დამტკიცება, რომ ჭია-თურის მაღაროს მუშები ყველა თავადის შვილები არიან, ან და მათ მიერ დაქირავებულნი მოსკოვთან ბრძოლაში ჩაებნენ?

მისთვის, ვინაც ობიექტიურად ადგილობრივ, ამ ამბების მოწ-მეთა ნაამბობი და აღწერა მოისმინა, მისთვის უდავოა: ქართველმა ინტელიგენციამ 1924 წ. ზაფხულში ქართველ გლეხებთან და მუ-შებთან ერთად იარაღს მოჰკიდა ხელი. გატაცებულმა სამშობლო-სადმი წმიდა და გულწრფელი სიყვარულით. უდრეკელი გადაწყვე-ტილება იყო, რომ ქართველი ხალხის უძლიერესი სურვილისათვის, ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, მიეღწიათ.

ძალიან მალე დამტკიცდა შეცდომა აჯანყებულთა იმედის. სომხები, რომლებიც ტფილისში, ქალაქის ძლიერ მოსახლეობას შეადგენენ, სრულიად არ ფიქრობდნენ აჯანყებაში ჩაბმას და ამ მოძრაობის ცეცხლის დედაქალაქში გაჩაღებას. ოცნებაც, რომ ევ-როპის ძლიერი სახელმწიფონი ამაში ჩაერეოდენ, არ გამართლდა. იყვნენ და დარჩნენ თავის ძალის ამარა, გარიყულნი; წითელ არმიას ადვილი საქმე ქონდა. - საშინელებაა სამოქალაქო ომი, მაგრამ, რაც მოხდა, შეუძლებელია კალმისთვის მისი აღწერა.

დიდ ნაწილს ინტელიგენციისას (მაინც და მაინც ინტელი-გენციით არაა მდიდარი საქართველო) დღეს მიწა აფარია, იმავე

საერთო საფლავში განისვენებენ ქართველი გლეხები და მუშები, რომელთაც მოახლოვებული ეგონათ მოსკოვის ურდოსაგან განთავისუფლების საათი. რასაკვირველია ქართველი ხალხი, დახოცილ შვილებს არ დაივიწყებს; მისთვის ისინი გმირები იყვნენ, გმირები სიკვდილამდე ერთგულნი თავიანთი მიზნის“-ო.

შემდეგ ბ-ნი ობსტი მოგვითხრობს საქართველოს წარსულ ისტორიას, ჩვენს გრძელ ომებს დამოუკიდებლობისათვის, საქართველოს და რუსეთის ტრაქტატის, რუსეთის მიერ უსირცვილოთ ხელშეკრულების დარღვევის ამბავს, მათ უნამუსო ღალატს 1795 წ. სპარსეთთან ომის დროს, რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებას და დაპყრობას მრავალი ომის, წინააღმდეგობის და აჯანყების შემდეგ.

სტატიის ამ თავს ბ-ნი ობსტი ასე აბოლოვებს: „ქართველი ხალხის ფართე მასაში ნაციონალური მისწრაფება, სურვილი სრული სუვერენობისა შეუდარებლად ძლიერია ვიდრე პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნილება. ქართველი ხალხის უდრეკელმა ნებამ, დავით აღმაშენებლის და თამარის დროთა აღდგენისან (კომუნისტებს ალბათ, მონარქიის აღდგენა ეგონებათ! ს.-ძე), აამოქმედა 1924 წ. რევოლიუციონერები“...

ჩვენც ასე დავაბოლოვებთ, 1921 წ. დაწყებული ბრძოლა გრძელდება, აგვისტოს აჯანყება ერთი მომენტთაგანი იყო ამ გრძელი ბრძოლის. ბრძოლა გამარჯვებით უნდა გათავდეს, - იგი გათავდება გამარჯვებით.

ს.-ძე.

ს.-ძე. პროფ ობსტი საქართველოდ აჯანყების შესახებ - „სახალხო საქმე“. გამოცემა უცხოეთში მყოფი სოც-ფედერ-ბის კომიტეტისა. 1927 წ. ივლისი. რვეული მესამე, გვ.28-31.

გამოყენებული ლიტერატურა

ნოზაძე ვიქტორ. ევროპა და კავკასია (ბრძოლა ნავთისათვის) - „დამოუკიდებელი საქართველო“, 1930 N 51, გვ.3-6; N 52, გვ.3-5.

ნოზაძე ვიქტორ. კავკასიის გეოპოლიტიკისათვის (ბრძოლა ნავთის გამო) – „დამოუკიდებელი საქართველო“, 1930 N 54, გვ.8-9; N 55, გვ. 9-10; N 56, გვ.3-4; N 57, გვ.8-9; N 58, გვ.7-9.

ნოზაძე ვიქტორ. ეროვნული ერთიანობის საფუძვლები. ამიერკავკასიის ერთობისათვის. საგარეო პოლიტიკის გეზი - „ქართველი ერი“, ბერლინი, 1944, N 15, გვ.6-11.

ობსტო ერიხი. საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი - „კავკასიონი, X, 1964, პარიზი, გვ. 5-11

ობსტი ერიხი. საქართველო: გეოპოლიტიკური ნარკვევი. თბილისი, „ახალი აზრი“, 2015

ს.-ძე. პროფ ობსტი საქართველოდ აჯანყების შესახებ - „სახალხო საქმე“. გამოცემა უცხოეთში მყოფი სოც-ფედერ-ბის კომიტეტისა. 1927 წ. ივლისი. რვეული მესამე, გვ.28-31.

შარაძე გურამ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბილისი, 2011.

ჭავჭავაძე ილია. შინაური მიმოხილვა. 1879 წელი, იანვარი - თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი V. საქართველოს მატიანე. თბილისი, 1955, გვ. 17-26.

Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения «Прометей»: Сборник документов. Сост., пред., пер., прим. Г.Г.Мамулиа. М.: Издательство «Социально-политическая МЫСЛЬ», 2012. – 240 с.

Мамулиа Георгий. Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945). Тбилиси-Париж, издательство «Меридиани», 2012. – 604 с.

Malkhaz Matsaberidze

Erich Obst on the Rebellion of 1924 and Geopolitics of Georgia

the paper analysis the works of German geographer and geopolitician, Erich Obst (1886-1981), written on political affairs of Georgia. He travelled to Georgia in the Autumn of 1924 and witnessed the local situation after the rebellion. In December of the same year he published article in the „Journal of Geopolitics“ under the title: „Georgia – A Geopolitical Study.“ Besides, in 1925 he published „The Russian Sketches“, with several chapters also dedicated to Georgia.

Erich Obst is a Western scholar, who revealed the truth on Georgia under its Soviet occupation. His article was an importnt support to the Georgian political emigration groups. This is attested by the fact that after 40 years, in 1964, his article was transltaed into Georgian language and was published in the immigrant journal „Kavkasioni.“ Besides, the Georgian emigree groups paid special attention to those-times emerging discipline – geopolitics. Viktor Nozadze (1893-1975) applied methods of geopolitics in his several works, among them the most notorious one is „For the Geopolitics of Caucasus (A Struggle for Oil),“ published in 1930.

the work of Erich Obst, published in 1924, is widely known among the Georgian scientific literature. Its translation of 1964 was published several times since 1980s, although his biography is less known, so as some of his other major essays on Georgia. The presented article aims to fill in this gap and it addresses various chapters dedicated to Georgia, which are included in his book published in 1925. The study also reveals the significance of works of Erich Obst in the formation of the Georgian geopolitical school.

the main method of the research is content analysis, addressing the works of Erich Obst, supplemnted by the method of biographycal analysis.

The paper uncovers scientific work of Erich Obst. He is one of the repsentatives of the German geopoltiical school, but it should be stressed that he did not serve the interests of the Nazi Germany. Reflection of his works reveals that during his scientific activities he never came back to the topic of Georgia after 1924-1925. Although, through his two works published during these times, he made a significant contribution to uncovering the truth on Georgia under the Soviet occupation. The presented factual materials and elaborated conclusion could be used for the study of the Soviet history of Georgia, and that of the 1924 post-rebellion period. It also adds to the study of the formation of the Georgian geopolitical school in the 1920s and the 1930s.

Keywords: Georgia, 1924 uprising, Erich Obst, Geopolitics.